უძველესი დროიდან თბილისი რამდენიმე განსაზღვრული უბნისაგან შედგებოდა. ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა კალა, ისნი და ტფილისი, რომელთა ფარგლებშიც ვითარდებოდა ძირითადი ქალაქი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა, ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოით-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოით და ისნს დასავლით". მოგვიანებით, 1807-1808 წლებში რუსი მოგზაური, კლაპროტი იმასვე ამბობს: "ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი; დაბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთადერთი ხიდი მდინარე მტკვარზე". აქედან კარგად ჩანს, რომ სახელწოდება "ტფილისი", იმავდროულად ქალაქის ერთ-ერთ უბანსაც აღნიშნავდა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: "ხოლო აწ უწოდებენ ოთხავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბათს და ისნს – ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისსა".

საინტერესოა, რომ თავდაპირველად სწორედ ცხელი წყლით განთქმულ ადგილს ერქვა ტფილისი, პირველი დასახლებაც აქ ჩასახულა. მემატიანე მოგვითხრობს: "აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა, რამეთუ ტფილისიცა და კალაიცა მოოხრებული იყო მაშინ" ("ქართლის ცხოვრება"). აქ ლაპარაკია თბილისის ორ ნაწილზე: ტფილისზე და გალავანშემოვლებულ კალაზე.



1. თბილისის გეგმა. 1782 წელი

საუკუნეების განმავლობაში ქალაქ თბილისის ტერიტორია ტოპოგრაფიულად დიდ ცვლილებებს განიცდის. ქალაქის ურბანულად მყარი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისაგან, "კალასაგან" განსხვავებით, ცვალებადი და არმდგრადია ქალაქის მეორე უბანი – "ტფილისი". მას უნდა სჭეროდა მდინარე წავკისის მარჯვენა ნაპირი, დღევანდელი აბანოების უბნის ტერიტორია მდინარე

მტკვრამდე. "ტფილისი" სწორედ ის ტერიტორია, სადაც ჩვენი კვლევის ობიექტი – აბანოთუბანი განთავსდება.

აბანოთუბანი თბილისის უძველესი ნაწილია, ამ ადგილზე წარმოიშვა პირველი დასახლებაც. ეს ადგილი ოდითგანვე გოგირდის წყლის აბანოებითაა ცნობილი. ძველ თბილისში ჩამოსული ყველა სტუმარი თუ მოგზაური მას ასხამდა ხოტბას. თბილისის აბანოები ხშირად იხსენიება ძველ საბუთებსა თუ მოგზაურთა აღწერილობაში. X საუკუნის არაბი გეოგრაფოსის აღწერით, " აქ წყალი უცეცხლოდ დუღს". ვ. ბერიძის თქმით, "XVI-XVIII სს. ყველა მოგზაური და აღმწერი, ვისაც კი თბილისზე უწერია, უეჭველად იხსენიებს აბანოებსაც – ეს ბუნებრივი აბანოები ყველას მიერ ქალაქის სპეციფიკურ და ღირშესანიშნავ თავისებურებად იყო მიჩნეული".

თბილისის, როგორც ქალაქის დაწინაურების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ მისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და მიწიდან მომდინარი ბუნებრივი გოგირდის ცხელი წყალი იყო. ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: "ტფილისს სდის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი და დიდ-შენნი ავაზიანნი, მარადის მომდინარი ცხელი წყალი".



2. თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. 1735 წელი

ტერიტორიამ, რომელიც ცხელი წყლებით იყო განთქმული რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება. თავდაპირველად მას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, "ტფილისი" ერქვა, შემდეგ, XVII საუკუნიდან – "სეიდაბადი", სულ ბოლოს კი "ხარფუხი". ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის გეგმაზე ამ უბანს ორმაგ სახელს უწოდებს: "სეიდაბადი ან ტფილისი". "სეიდაბადი" სპარსული სიტყვაა და სეიდების სამოსახლოს ან სეიდების უბანს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, ბუნებრივი ცხელი წლით მოხიბლულ სპარსეთის შაჰს აქ სეიდების ტომი ჩამოუსახლებია, სახელწოდებაც აქედან გაჩენილა – "აქ დასხა

შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდ აბადს" (ვახუშტი ბატონიშვილი).

სეიდაბადი ხშირად მოიხსენიება ქართულ ისტორიულ წყაროებში. ვახუშტის თბილისის 1735 წლის გეგმის მიხედვით, სეიდაბადი შემდეგნაირად შემოიფარგლება: ჩრდილოეთიდან – ქალაქის სამხრეთის ზღუდით და წავკისის ხევით, აღმოსავლეთიდან – მდ. მტკვრით, სამხრეთიდან – ქალაქის სამხრეთით მდებარე ძველი ზღუდით, (ე.წ. "განჯის კარი"), დასავლეთით – თაბორის მთით. სეიდაბადის გარშემო გაშენებული ყოფილა ვენახები და ხილის ბაღები, რომლებიც მდ. მტკვრისა და წავკისის წყლიდან საგანგებოდ გაყვანილი სარწყავი რუებით ირწყვებოდა. ამ ცნობის ადასტურებს თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვებიც: "ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი. ესე იგი: ... სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა, სეიდაბადის ბაღები რომ არის, იქ, ტფილს წყლებ ახლო. და იმ სოფელს ტფილისი რქმევია, და იქაც მცირედნი ქართველები მდგარან".

მაგრამ დღესდღეობით მაინც საკმაოდ რთული დასადგენი ზუსტად სად გადიოდა ზღვარი ტფილისსა და სეიდაბადს შორის, უფრო სწორედ სეიდაბადის რა ნაწილს შეადგენდა აბანოთუბანი. თ. კვირკველიას თქმით, აბანოების უბანი ერქვა სეიდაბადის ჩრდილოეთ ნაწილს, წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე არსებულ, პატარა, ლოკალურ ადგილს.

თბილისის გალავანს სამხრეთიდან ჰქონდა ორი კარი: "განჯისა" და "აბანოსი". "განჯის კარი" "აბანოს კარის" მაღლა იყო ქალაქის კედელში დატანებული, დაახლოებით იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია. სწორედ ამ უკანასკნელის კარისა და მისივე სახელწოდების მქონე ხიდის საშუალებით, უკავშირდებოდა სეიდაბადი ქალაქს. ვახუშტი არ ხსენებს "აბანოს კარს", მის მიერ შედგენილ 1735 წლის გეგმაზე მხოლოდ განჯის კარია აღნიშნული. შესაძლოა "აბანოს კარი" მხოლოდ ქალაქის გარეუბანში, "სეიდაბადში" გასასვლელად იყო გამიზნული. პლ. იოსელიანი მას "სეიდაბადის კარს" უწოდებს. ვახუშტი ბავრტიონი აბანოების უბანს სეიდაბადის ერთ ნაწილად წარმოგვიდგენს. პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ 1800 წლიდ გეგმაზე კი მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები, რადგან სეიდაბადის დანარჩენი ტერიტორია ამ დროისათვის ადარაა დასახლებული და მთლიანად ბაღებითაა დაფარული.

ცნობილი მოგზაური, გიულდენშტედტი კი ამბობს: ".. ადრე ქვედა გარეუბანი, აბანოების ქვევით, იყო ქალაქი თბილის ქალაქი" ე.ი. სეიდაბადს "ქვედა გარეუბანი" ეწოდებოდა, მისი ტერიტორიის ერთ-ერთ ნაწილს კი "აბანოს უბანი". იგი იქვე დასძენს: "ქალაქის ქვემოთ, ახლოს მასთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არის თბილი წყაროები და მათთან საზოგადო აბანოები ორივე სქესისათვის. აბანოების ქვემოთ არის წინა ქალაქი, გარეთუბანი, ან უფრო უკეთ, ძველი თბილისი".

გვიანი ფეოდალური ხანის თბილისის წარმოსადგენად, წერილობითი ცნობებს გრაფიკული მასალაც ერთვის; მათ შორისაა ფრანგი მოგზაურის – შარდენის 1871 წლის ნახატი.



3. თბილისის პანორამა შარდენის წიგნიდან. 1871 წელი

XIX ს-ის თბილისზე რამოდენიმე ისტორიული ცნობა მოიპოვება, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია 1782, 1800, 1802 წლის გეგმები. მათზე თბილისის ზრდის თანდათანობითი ტენდენციები შეიმჩნევა, თუმც ჯერ ისევ უცვლელი რჩება ქალაქის ძველი ცენტრი – კალა, სეიდაბადი, ისნი.



4. თბილისის გეგმა. 1800 წელი



5. თბილისის გეგმა. 1800 წელი

აბანოთუბნის ცენტრალური ნაწილის, კერძოდ კი ე.წ "ჭრელი აბანო"-ს მიმდებარე ტერიტორის ამჟამინდელი იერი, თბილისის 1980-იანი წლების რეკონსტრუქციის შედეგია, როდესაც მოხდა ფასადების "ძველ თბილისურ" ყაიდაზე შემოსვა. რეკონსტრუქციამ შესაბამისად შეცვალა ის ისტორიული სახე, რომელიც საარქივო ფოტოებზეა აღბეჭდილი.





6.7. აბანოთუბანი XIX-XX-სს ფოტო

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით ძირითადი ორიენტირების (როგორიცაა აბანო და სხვა) გარჩევა შესაძლებელია. სწორედ მაზე დაკვირვებით შესაძლებელია უბნის ძველი XIX-XX ს-ის სახის აღდგენა და შესაბამისად ამ პერიოდში არსებული შენობების იდენტიფიცირებაც.



8. აბანოთუბანი XIX ს-ის II ნახევრის ფოტო

უშუალოდ ჩვენი საკვლევი ობიექტიც სწორედ ამ ისტორიულ მონაკვეთში მდებარეობს, გორგასლის ქ. №3-ში მდებარე აბანო №5. საარქივო ფოტომასალის დეტალურად შესწავლის შედეგად, მაინც რთულდება უშუალოდ ჩვენი ობიექტის იდენტიფიცირება, როგორც ჩანს უბნის რეკონსტრუქციამ და განსაკუთრებით ახალი სამაგისტრო გზის გაჭრამ, მეტნაკლებად შეცვალა მისი ისტორიული სახე. XIX ს-ის ბოლოს თბილისის საარქივო ფოტოზე დაყრდნობით მეტნაკლებად შესაძლებელია ისტორიული სურათის აღდგენა.



9. აბანოთუბანი. XIX-XX-სს ფოტო

აღნიშნულ ფოტოზე, ნათლად იკითხება ჭრელი აბანო და მისი მიმდებარე განაშენიანება. ერთმანეთის მიჯრით არსებული შენობები, მჭიდრო, ქაოტურ განაშენიანებას ქმნის. მარცხენა მონაკვეთში მოჩანს ერთ-ერთი აბანოს გუმბათი. მტკვრის სანაპიროს მხარეს ჯერ კიდევ დგას ე.წ. შიოევის ქარვასლა. ჩვენთვის

საინტერესო ტერიტორიაც, სავარაუდოდ შიოევის ქარვასლის მიმდებარედ უნდა მდებარეობდეს. თუმცა განხილულ მასალაზე, მხოლოდ ერთ-ორსართულიანი ნაგებობები მოჩანს. ბუნდოვნად განირჩევა შენობებს შორის არსებული მცირე სივრცითი მონაკვეთები, როგორც ჩანს შენობათა შიდა ეზოები. აღნიშნულ მასალაზე აბანოს გუმბათის მსგავსი არ შეინიშნება, თუმცა შესაძლებელია ასეთი ტიპის გუმბათი აღნიშნულ მასალაზე არ იკითხებოდეს.

უბნის რეკონსტრუქციის შემდეგი ეტაპი XX საუკუნის შუა ხანას მოიცავს, როდესაც საავტომობილო მაგისტრალის გაფართოებას, შეეწირა უბნის მტკვრის მხარეს გამავალი ფასადიც, მათ შორის შიოევის ქარვასლაც. როგორც ჩანს მის მიდებარედ არსებულმა შენობებმაც, სწორედ ამ პერიოდში გაქრნენ, ან სახე იცვალეს.
უბნის ამჟამინდელი სახე, XX საუკუნის II ნახევრის რეკონსტრუქციის შედეგია: ისტორიული განაშენიანებისაგან მხოლოდ ნაწილიღაა დარჩენილი (უბნის სიღრმეში განვითარებული ქუჩათა ქსელი, ურბანული ქსოვილი, შენობები), გაფართოვდა ჭრელი აბანოს მიმდებარედ მოედანი. მიჯრით მდგარი მჭიდრო განაშენიანების ნაცვლად, საზოგადოებრივი სივრცე გაჩნდა (ჰ. ალიევის სკვერი). უბნის ძირითად დომინანს რათქმაუნდა ჭრელი აბანო და მის მიდებარედ სოკოებივით შეფენილი სხვადასხვა აბანოების გუმბათები, ფერდზდე შეკიდული ღია აივნებიანი სახლები ქმნის, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდეც უბნის განსაკუთრებულ ხასიათსა და კოლორიტს.




10.11. აბანოთუბანი. 2012 წლის ფოტო

დღეის მდგომარეობით, მონაკვეთს ჩამოყალიბებული ინდივიდუალური სახე აქვს, რაც მომხიბვლელ სურათს ქმნის თბილისის სტუმრებისათვის და მის ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.
თუმცა უნდა აღინიშნოს რომ უახლესმა ახალმშენებლობებმა, გარკვეული დისონანსი შეიტანა უბნის საერთო მხატვრულ სახეში. ამ მხრივ განსაკუთრებით საგანგაშოა გორგასლის ქ. №5- ში არსებული მრავალსართულიანი, უსახური ნაგებობა, რომელიც თითქმის ყველა მაღალი წერტილიდან (მეტეხის პლატო;

ნარიყალა) აღიქმება და თითქოს მარტივად რომ ვთქვათ „თრგუნავს“ არამხოლოდ მიმდებარე განაშენიანებას, არამედ უბნის სამომავლო განვითარებისათვის ცუდ პრეცენდენტს იძლევა.




12.13. გორგასალის ქ. №3. აბანო №5

სწორედ ასეთ ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში მდებარეობს უშუალოდ ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორია. გუმბათებიანი ეზო და შენობა, ძირითადი ფასადით სანაპიროს მხარეს, გორგასლის ქუჩას ეხსნება. მარცხნივ ეზოს ნაწილი და შენობა ჰ. ალიევის სკვერში გამოდის, რომლის მხრიდანაც მიწისქვეშა აბანოში მოხვედრაა შესაძლებელი. შენობის ფასადი სადაა, ძველი ქართული აგურით ამოყვანილი, მარტივპილასტრებიანი, თაღოვანი შესასვლელით. ეზოს მეორე მხარეს, ზემოაღნიშნული უსახური ახალმშენებლობ ემიჯნება რომელიც „იჭრება“ კიდეც ეზოს სიღრმეში. ამჟამინდელი აბანო №5-ის შენობა, 2007 წლის რეკონსტრუქციის შედეგია, როდესაც ძველი ქართული აგურით ამოიყვანეს მიწისქვეშა აბანოს გუმბათები, და მიწისზედა შენობაც. მიუხედავად ამისა, შენობა ორგანულად იკითხება მიმდებარე განაშენიანებაში და უბნის საერთო ისტორიულ-მხატვრულ-ფუნქციურ სურათს სავსებით ეპასუხება.




14.15. გორგასალის ქ. №3. აბანო №5

უნდა აღინიშნოს, რომ შენობა ერთგვარ „სტრატეგიულ“ ადგილას მდებარეობს და ხედვის სხვადასხვა წერტილებიდან მიმოიხილება: 1. მეტეხის პლატოდან ის პირდაპირ იშლება. თუმცა ამ ხედით დიდი ნაწილი იფარება ზემოაღნიშნული აგრესიული ახალი მოცულობით.



16.17. ხედი მეტეხის პლატოდან აბანოთუბანზე

2. ნარიყალაზე მიმავალი გზიდან და უშუალოდ გალავნიდან ნათლად იკვეთება შენობის საერთო მოცულობა და გაბარიტი. მისი დამიკიდებულება შიდა ეზოსთან და მთელი კომპლექსის მიმართება მიმდებარე განაშენიანებასთან.



18.19. ხედი ნარიყალადან აბანოთუბანზე

3. სანაპიროს მხრიდან სივრცობრივ მონაკვეთებს შორის ჩნდება აბანოს გუმბათები, რომლის მოჩანს სანაპიროზე გავლისას ორივე მხრიდან და თავისი

„გაშლილი“ სივრცე/ეზოთი ერთგვარად „ასუნთქებს“ კიდეც მიმდებარე გარემოს. შესაბამისად რაიმე სახის ცვლილებისას, სასურველია გათვალისწინებულ იქნას, არამხოლოდ კონკრეტულად მიმდებარე განაშენიანება, არამედ ხედვის წერტილები, რათა ახალმა მოცულობამ მკვეთრი დისონანსი არ შეიტანოს უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სურათში.




20.21. გორგასალის ქ. №3. აბანო №5. ხედი გორგასალის ქუჩიდან

პროექტის მიხედვით, მიწისზედა არსებული შენობის რეკონსტრუქციაა გათვალისწინებული, რაც აბანოს ფუნქციურ გამრავალფეროვნებას ემსახურება. აღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით, რათა არ დაირღვეს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო. ვფიქრობთ შენობის ახალი მოცულობა უნდა შეირჩეს სწორედ არსებული შენობისა და მიმდებარე განაშენიანების მოცულობის, მასშტაბის, გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ***როგორც უკვე აღვნიშნეთ, განხილული ობიექტის ერთ-ერთ ძირითად ღირსებას მისი მდებარეობა ქმნის, რომელიც სხვადასხვა ხედვის წერტილიდან მიმოიხილება. ახალმშენებლობა უნდა იყოს დამჯდარი, მორგებული პროპორციების, რომელიც არ იქნება ამოვარდნილი ქუჩის საერთო სტრუქტურიდან (იგულისხმება გორგასალის ქუჩა, ჰ. ალიევის სკვერი და ბოტანიკურის ქუჩა) და ჰარმონიულად, “უმტკივნეულოდ” ჩაეწერება უბნის სახეში (ხედი მეტეხის პლატოდან, ხედი ნარიყალადან). ვფიქრობთ სწორედ ამ კონტექსტში უნდა დამუშავდეს შენობის ფასადის მცირედი მონაცვლეობის საკითხიც, მფლობელის წითელი ხაზების შესაბამისად. პროექტირებისას გასათვალისწინებელია ალიევის სკვერის მხარეს არამხოლოდ კონკრეტული შენობის ფასადი, არამედ ამ ზოლის საერთო პროპორცია, კონტური, მხატვრული სახე***
- ***შესაბამისად სართულიანობა უნდა განისაზღვროს მიმდებარე განაშენიანების მიხედვით, რომლის სიმაღლის ნიშნული, არ უნდა აღემატებოდეს მის უკან/მომიჯნავედ არსებული (ჰ.ალიევის სკვერის***

მხარეს) შენობის სიმაღლეს (შესაძლებელია ზედა სართულის ღია ტერასად გამოყენება)

- *აუცილებელია შენარჩუნდეს აბანოს შიდა ეზოს სტრუქტურა, გუმბათები, რომელიც არსებული კომპლექსის მნიშვნელოვან სივრცით კომპონენტს ქმნის. შენობის პროპორციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეზოს თავისუფალი მონაკვეთის მცირედი ათვისებაც*
- *სასურველია უცვლელად იქნას შენარჩუნებული გორგასალის ქუჩის მხარეს მიმართული ეზო/ფასადიც, სადაც დიდი ნაწილი აქვს დათმობილი გუმბათებიან ეზოს და შენობაში ასასვლელი კიბის უჯრედიც სწორედ ამ მხარეს არის განთავსებული*
- *რაც შეეხება საფასადო კომპოზიციას, ვფიქრობთ აქაც დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს მისი მხატვრულ-არქიტექტურული სახე. არსებულ ნაგებობაზე დამატებითი მოცულობის გაჩენა, ჰარმონიულ შესატყვისობაში უნდა მოდიოდეს შენობის ერთიან მხატვრულ სახესთან*
- *ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი, ყურადღებით შეირჩეს სამშენებლო მასალაც, რომელიც შესაბამისობაში მოვა ამჟამინდელ შენობასა და უბნის ერთიან მხატვრულ სურათთან*

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ გორგასალის ქ. №3-ში განთავსებულ აბანო №5-ი , კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ნუსხაშია შეყვანილი. გარდა ამისა, აღნიშნული უბანი შედის თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში, რაც კანონით დადგენილ დაცვის განსაზღვრულ რეჟიმს გულისხმობს.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №3-ში მდებარე აბანო №5-ის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი



თბილისი
2012წ.

დამატებითი ფოტომასალა:









